



მცირე საოპარატო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვების მრუნვის 2022 წლის
სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

306 არის პროტოკოლის მოსარგებლე ?



ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში
მცხოვრები ან ჩასარიცხი 6-დან 18 წლამდე
ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები, მათ
შორის, შებლუდებული შესაძლებლობის სტატუსის
მქონე ბავშვები, რომელთა ბიოლოგიურ ოკაბში
დაბრუნება, შვილად აყვანა ან მინდობით
აღზრდაში განთავსება ვერ ხერხდება;



ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში
მცხოვრები 18 წლის ასაკს გადაცილებული
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების
მოსწავლეები.



ანტისოციალური და დელინქვენტური ქცევების
მქონე (მათ შორის მსუბუქი გონებრივი
ჩამორჩენის მქონე) 12 წლიდან 18 წლამდე
მზრუნველობამოკლებული არასრულწლოვნები,
რომლებიც:

ა) სოციალური მუშაკის რეკომენდაციის საფეხველზე
შეფასებული არიან მულტიდისციპლინური გუნდის
მიერ და აქვთ დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ
დადებითი დასკვნა;

ბ) არასრულწლოვანს აქვს ანტისოციალური
ქცევა, რომელიც აშკარა საფრდეს უქმნის
არასრულწლოვნის ფსიქო-სოციალურ
განვითარებას, მის ან სხვა ადამიანების
უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან
მართლწესრიგს, სისტემატიურად ვლინდება
რთული ქცევა არანაკლებ 6 თვეის
განმავლობაში და სახელმწიფო ბრუნვის
მომსახურებას, სადაც ირიცხება
არასრულწლოვანი, ქცევის მართვის
სირთულეების გამო;





პროგრამაში ჩართვისათვის საჭიროა:

- მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;
- მაძიებლის ფანჯრულობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია N IV-100/ა);
- მაძიებლის ერთი ფოტოსურათი (3X4);
- მაძიებლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი;
- თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;
- მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია.

სერვისის მიწოდების სტანდარტები

- » ქვეპროგრამის ფარგლებში მიწოდებული მცირე საოქახო ტიპის სახლის მომსახურების ლირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება არამატერიალური ვაუჩერი.
- » 24-საათიანი მომსახურების მიწოდება მცირე და საოქახო ტიპის სახლში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- » მინიმუმ ოთხერადი კვება, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი;
- » ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა;
- » ბავშვის მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და მისი შესრულების და პერიოდული გადასინჯვის უზრუნველყოფა;
- » ყოველდღიური, ყოფითი უნარების სწავლება (თვითმოვლა, საოქახო აქტივობებში ჩართვა და სხვ.)
- » პროფესიული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარება, ბავშვის ინტერესების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- » აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების ხელშეწყობა და ბავშვის თავისუფალი დროის სწორი და მიზნობრივი ორგანიზება;
- » კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამატანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვა;
- » პირველადი ჭანდაცვის დაწესებულებაში ბავშვის დინამიკური მეთვალყურეობის უზრუნველყოფა და საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების განვევა, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების ორგანიზება;
- » ბავშვის ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში აღზრდის უზრუნველყოფა, სოციალური მუშაკების მიერ პერიოდული ვიზიტებისა და ბავშვის მდგომარეობასა და განვითარებაზე შესაბამისი მეთვალყურეობის დაწესების მეშვეობით;
- » ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს;
- » ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფას;
- » დამატებითი პერსონალის მიერ ბენეფიციარის დახმარებას კვების, საპირფარეშოს, პირადი ჰიგიენის დაცვის პროცესში;
- » შშმ ბავშვთა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას;

რეგისტრაციის დიაგრამა



სამედიცინო ფორმა 100-ის მისაღებად მიმართეთ უბნის
პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტან.
პროცედურის დაცვისა და შესაბამისი სადაზღვევო პაკეტის
გათვალისწინებით სამედიცინო ფორმის აღება რიგ შემთხვევაში
შეიძლება იყოს უფასო.



საპენსიო მოწმობას, **სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის**
ქონის შესახებ, გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების
უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები. უახლოესი
სამედიცინო დაწესებულების მისამართის გასაგებად
დაუკავშირდითბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზს - 111

ვაუჩერი

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ, პროგრამით
გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, მიმართეთ
სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,
დაბარალებულთა დახმარების სააგენტოს: +(995 32) 2 39 53 11.
განცხადება ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.

ხშირად დასმული კითხვები:

1. რომელია პროგრამის მიმწოდებელი ორგანიზაციები?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტელეფონი: + (995 32) 2 39 53 11

ონლაინპლატფორმა: www.sheaghe.ge

ცხელი ხაზი: 0 800 900 902

2. თუ პედიატრმა არ გადაამისამართა ჩემი შვილი ექიმ-ექსპერტთან, რაც ვთვლი რომ აუცილებელი იყო, ვის შეიძლება დავუკავშირდე?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

3. რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მიღების მიზნით?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

ონლაინპლატფორმა: www.sheaghe.ge

ცხელი ხაზი: 0 800 900 902

4. ვის მივმართო თუ შემინყდა მომსახურეობა?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტელეფონი: + (995 32) 2 39 53 11

5. ვის შეიძლება მივმართო თუ სერვისის განმახორციელებელი უარს აცხადებს ჩემს მიღებაზე ან დაირღვა ჩემი უფლებები?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტელეფონი: + (995 32) 2 39 53 11

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81





MAC GEORGIA

ააიპ „მაკ“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ორგანიზაციის
მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და
მათ ოჯახებს.

კავშაძის ქ. 3, თბილისი 0179

+995 32 197 378

უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202